



სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის
2021 წლის
“მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი
პროექტების გრანტით დაფინანსების
კონკურსი”

პროგრამის კოორდინატორი:

ხატია ანანიაშვილი

ფინანსური კონსულტანტი:

მადინა გაურგაშვილი

www.rustaveli.org.ge

კონკურსის გამოცხადების საფუძველი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის ბრძანება №130/ნ „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“



სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის №135 ბრძანება 2021 წლის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის“ შესახებ

კონკურსის მიზანი



- მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდა; აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესება; სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური ან/და ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.

კონკურსის სავალდებულო შედეგი

- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (ფონდში ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა)

კონკურსის ფარგლებში პროექტები დაფინანსდება შემდეგ მიმართულებებში:



1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი



2. ინჟინერია და ტექნოლოგიები



3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებანი



4. აგრორული მეცნიერებანი



5. სოციალური მეცნიერებანი



6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი



7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი



ზოგადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ

პროექტების ხანგრძლივობა: **4 - 10 თვე**

კონკურსის მთლიანი ბიუჯეტის: კონკურსის საერთო ბიუჯეტი პროპორციულად გადანაწილდება შვიდ სამეცნიერო მიმართულებაზე.

პროექტის ბიუჯეტი (ფონდის მიერ გაცემული): არაუმეტეს 6 000 ლარისა

პროექტის განხორციელების დაწყება: 2022 წელი (იანვარი)



მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობები:

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ, სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე **მაგისტრანტს**, რომელიც არის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა სემესტრის სტუდენტი**;
- კონკურსის მონაწილე მაგისტრანტს უნდა ჰყავდეს **სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი** - დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე.
- მაგისტრანტს კონკურსზე შეუძლია **წარადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი**.



მონაწილეობა

სასურველია (არ არის აუცილებელი):

- პროექტში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე - **კონსულტანტის** ჩართულობა.



კონკურსის ეტაპები

კონკურსის გამოცხადება

პროექტების ფონდში წარდგენა

რეგისტრირებული პროექტების
ტექნიკური ექსპერტიზა

შუალედური შედეგების გამოქვეყნება -
კონკურსის პირობების დარღვევით
წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

პროექტების შეფასება კომისიის მიერ

კომისიის შეფასების საფუძველზე
გამარჯვებული პროექტების გამოვლენა
და დამტკიცება

საგრანტო ხელშეკრულებების
გაფორმება



საკონკურსო პროექტების ფორმატი და ფონდიდან მოთხოვნილი თანადაფინანსება

- ერთი საგრანტო პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი მთლიანი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს **6000 ლარს**.
- მაგისტრანტის სტიპენდია ჯამში არ უნდა აღემატებოდეს **1200 ლარს**.
- შესაძლებელია თანადაფინანსება: პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანადაფინანსებას. თანადაფინანსება უნდა იყოს ასახული პროექტის ბიუჯეტში. თანადაფინანსებაში არ ჩაითვლება სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი ან სტიპენდია.



ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ხარჯვითი კატეგორიები (არაუმეტეს 6000 ლარი):

ა)



მაგისტრანტის სტიპენდია (ჯამში არაუმეტეს 1200 ლარი)

ბ)



სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის ხარჯი

ბ)



ლაბორატორიული საშუალებების ხარჯები

ბ)



საველე სამუშაოების (ექსპედიციის ხარჯები)

ბ)



საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა)

დ)



უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯები

ე)



სხვა ხარჯები – შეიძლება მოიცავდეს სწავლის სემესტრულ გადასახადს, პროფესიული ლიტერატურის შეძენის ან/და პროფესიული ასოციაციის წევრობის ხარჯებს და სხვა



საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს:

- პროექტში ჩართული სხვა პირების (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი) შრომის ანაზღაურებას.



სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია:

- ლეპტოპის, პლანშეტური კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, საოფისე პრინტერის და/ან სკანერის, კარტრიჯის, უწყვეტი კვების წყაროს და უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი, სატრანსპორტო საშუალების შეძენა.



ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპები

- ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი (GMUS-ში) – **2021 წლის 15 ნოემბრის 16:00 საათამდე**
- ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი (კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენა) – **2021 წლის 22 ნოემბრის 16:00 საათამდე**
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, რომელშიც ჩარიცხულია კონკურსის მონაწილე მაგისტრანტი, რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და დაწესებულების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის (წესდება/დებულება) ატვირთვა. ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2021 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან.
- კონკურსის მონაწილე მაგისტრანტის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და კონსულტანტ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვა.
- პროექტის რეგისტრაცია მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსზე, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა.



პროექტის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი 1

- კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ - ივსება GMUS-ში
- აბსტრაქტი - ივსება GMUS-ში (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- საპროექტო წინადადება - ივსება დანართი 3, PDF-დოკუმენტის სახით აიტვირთება GMUS-ში
- მაგისტრანტის, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) CV-ის მონაცემები ივსება GMUS-ის „მეცნიერის პროფილში“, შემდეგ ჩამოიტვირთება PDF-დოკუმენტად გენერირებული სახით. ეს CV-ები უნდა აიტვირთოს პროექტის რეგისტრაციისას „სამეცნიერო გუნდის“ შესაბამის ველებში. *უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიოგრაფია, შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს ნებისმიერ ფორმატში PDF დოკუმენტის სახით, ინგლისურ და ქართულ ენებზე.*
- პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი - ივსება GMUS-ში
- პროექტის განხორციელების ბიჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება - ივსება GMUS-ში



პროექტის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი 2

- ცნობა მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ (დანართი 5) ასევე მაგისტრანტის ნიშნების ფურცელი/ტრანსკრიპტი - იტვირთება როგორც მაგისტრანტის „მეცნიერის პროფილში“, ისე პროექტის რეგისტრაციისას „სამეცნიერო გუნდის“ გვერდის შესაბამის ველში ერთ PDF-დოკუმენტად გაერთიანებული სახით
- კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი (დანართი 6), უცხოელი მეცნიერის შემთხვევაში, თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურენოვანი ორიგინალისა და ქართული თარგმანის სახით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ - იტვირთება PDF დოკუმენტის სახით GMUS - ში, „სამეცნიერო გუნდის“ გვერდის შესაბამის ველში
- ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს მაგისტრანტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან - იტვირთება GMUS-ში, „ორგანიზაციის“ გვერდის შესაბამის ველში PDF დოკუმენტის სახით



პროექტის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი 3

- თანხმობის წერილი სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ, (დანართი 9) - იტვირთება GMUS -ში, „ორგანიზაციის“ გვერდის შესაბამის ველში PDF დოკუმენტის სახით
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები /ვებგვერდის ბმულები იტვირთება GMUS-ში, შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით, უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი ვებგვერდის ბმული მიეთითება კონსულტანტის თანხმობის წერილში.
- საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (ნიმუში - დანართი 10, გენერირდება GMUS-ით)

პროექტის რეგისტრაცია GMUS-ში

- GMUS-ში რეგისტრაციის ბმული:
GMUS.RUSTAVELI.ORG.GE

გრანტების მართვის ერთიანი სისტემა
GMUS
GRANTS MANAGEMENT UNIFIED SYSTEM

- GMUS -ში ორგანიზაციების, მეცნიერის პროფილისა და პროექტის რეგისტრაციის გზამკვლევის ბმული
<https://rustaveli.org.ge/geo/grantebis-martvis-ertiani-sistema>



პროექტების შეფასება კომისიის მიერ

- კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის **N130/ნ** ბრძანების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესებით.
- პროექტებს აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია - დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ განაცხადებს, ადგენს რანჟირებულ სიებსა და გამოავლენს გამარჯვებულ პროექტებს.
- დაფინანსების მოსაპოვებლად **აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 18 ან მეტი ქულა.**

პროექტის მომზადებამდე

ყურადღებით გაეცანით:

<https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/fondi-atskhadebs-2021-tslis-magistrantta-sastsavlo-kvleviti-proeqtebis-grantit-dafinansebis-konkurss>

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებას N 130/ნ;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის №135 ბრძანება 2021 წლის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის“ შესახებ
- კონკურსის პირობებით დადგენილი ვადის დარღვევით წარმოდგენილი პროექტები არ განიხილება.

კონკურსთან დაკავშირებული შეკითხვები მოგვწერეთ
ელფოსტით - mr@rustaveli.org.ge



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
გისურვებთ წარმატებას!



გმადლობთ ყურადღებისთვის!



თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. 1
www.rustaveli.org.ge